კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ქ.ქუთაისის N23 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	მოსწავლეები
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	V ბ კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ქართული ხალხური ზღაპარი ,,ერთი მანეთის შოვნა“
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში (მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფ ინედ უს ვე ბგვე რდ ს)	ფული

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები (მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)	ძირითადად გამოყენებულ იქნა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები და ინტერაქტიური მეთოდები, მაგალითად: კომენტირებული კითხვა, დისკუსია, როლური თამაში, ინსცენირება, ილუსტარციების შექმნა.
აქტივობის აღწერა (აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)	იდეების გენერირების შედეგად მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, რომ ამ ზღაპრის მიხედვით დაედგათ ინსცენირება, რისთვისაც გაიარეს შემდეგი ეტაპები და აქტივობები: • მასწავლებელმა წაუკითხა მოსწავლეებს შერჩეული რესურსი, რის შემდეგაც იმსჯელეს პერსონაჟთა მხატვრულ სახეებზე, შეაფასეს თითოეული მათგანის ქცევა და დამოკიდებულება შრომისადმი; დაწერეს შეკითხვები, რომლებსაც დაუსვამდნენ ამ პერსონაჟებს, ხოლო აქტივობა ,,პერსონაჟის სკამის“ დროს მოსწავლეებმა თავად მოირგეს როლები და გააანალიზეს საკუთარი ქცევა. თითოეულ მათგანს დაუსვეს შეკითხვები, მისწერეს წერილები. • მოეწყო დისკუსია ნაწარმოების თემასა და იდეაზე, მთავარ სათქმელზე - რა მნიშვნელობა აქვს ფულს ადამიანის ცხოვრებაში; როდის აქვს მას ფასი და პირიქით, როდის უფასურდება; რატომ არის აუცილებელი, რომ ფულის მნიშვნელობის გააზრება სკოლიდანვე იცოდეს მოსწავლემ. • შერჩეული ეპიზოდების მიხედვით შექმნეს ილუსტრაციები. • ზღაპრის მიხედვით დაწერეს სცენარი და გაამდიდრეს ის ახალი დეტალებით. • მთავარი როლებისათვის არჩეულ იქნენ სამსახიობო ნიჭით გამორჩეული მოსწავლეები. დანარჩენები მუშაობდნენ სპექტაკლის მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ და დეკორაციულ გაფორმებაზე. • გადაღებული მასალა მოსწავლეთა დახმარებით დამონტაჟდა და შეიქმნა ვიდეორესურსი.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)	ფინანსური განათლება თანამედროვე სამყაროში საბაზისო ცხოვრებისეულ კომპეტენციად მიიჩნევა. მოსწავლეებს სკოლის ასაკიდანვე უნდა ჩამოუყალიბდეთ სწორი დამოკიდებულებები ამ საკითხების მიმართ, ისწავლონ ფულის ყადრი და როგორც საკუთარი, ასევე სხვისი შრომის დაფასება. მსგავსი აქტივობებით მოსწავლეები ივითარებენ კრიტიკულ, ანალიტიკურ და შემოქმედებით უნარებს და აღიჭურვებიან იმ ცოდნით, რომელიც თანამედროვე სამყაროში მცხოვრებ კონკურენტუნარიან მოქალაქეს სჭირდება. განხორციელებულმა აქტივობამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობის გაჩენას, მიეცათ საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის გამოყენების შესაძლებლობა, საგნობრივი კომპეტენციითაც აიმაღლეს ცოდნის დონე, რაც გულისხმობდა ზეპირმეტყველებისა თუ

	წერითი უნარების გაუმჯობესებას. გამოთქვეს სურვილი, რომ კვლავ მიეღოთ მონაწილეობა მსგავს პროექტში.